კონფიდენციალური

ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები
ღია თამასუქის ხელშეკრულება #XXX

თარიღი: XXX

თამასუქის საპროცენტო განაკვეთი:

- თამასუქის საპროცენტო განაკვეთის ტიპი: ფიქსირებული
- თამასუქის წლიური საპროცენტო განაკვეთი: X%
- თამასუქის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი: X%

სხვა სახელშეკრულებო ინფორმაცია

- თამასუქის ერთჯერადი შენატანი: X
- თამასუქის ვადა: X თვე
- მომხმარებელს აქვს ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის უფლება.
- პირგასამტეხლო თამასუქის შეწყვეტისთვის:

ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, თამასუქს ნაცვლად ზემოთ მოცემული პროცენტისა, დაერიცხება შემცირებული საპროცენტო სარგებელი რომლის ოდენობა დამოკიდებულია თამასუქის ვალუტაზე, კერძოდ, ეროვნულ ვალუტაში გაცემულ თამასუქს დაერიცხება წლიური საპროცენტო სარგებელი X% -ის ოდენობით, ხოლო უცხოურ ვალუტაში გაცემულს - წლიური X%-ის ოდენობით. შემცირებული საპროცენტო სარგებლის დარიცხვა განხორციელდება ხელშეკრულების 4.1 პუნქტით განსაზღვრული წესით, მისი ვადაზე ადრე შეწყვეტის თარიღამდე.

თამასუქის ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის უფლების გამოყენების შემთხვევაში, თამასუქის მფლობელი ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე წინასწარ, 10 (ათი) სამუშაო დღით ადრე წერილობით აცნობოს თამასუქის გამცემს.

ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილების შემთხვევაში, მომხმარებლის ინფორმირება მოხდება ცვლილებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში - არანაკლებ ერთი თვით ადრე მოკლე ტექსტური შეტყობინებით/ელექტრონული ფოსტით. ხოლო ისეთი ცვლილების განხორციელებისას, რაც არ იწვევს ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილებას, მომხმარებლის ინფორმირება განხორციელდება ცვლილებამდე 10 (ათი) სამუშაო დღით ადრე.

წინასწარი შეტყობინების ვალდებულება არ არსებობს, თუ პირობის ცვლილება ხორციელდება მომხმარებლის სასარგებლოდ.

- უცხოური ვალუტით განთავსებული ფულადი სახსრები მომხმარებელს მნიშვნელოვანი რისკის წინაშე აყენებს!

▪ ვალუტის კურსის ცვლილებამ შესაძლოა ლარით გამოხატული სარგებელი მნიშვნელოვნად შეამციროს.
• ლარის შესაძლო წლიური 15%-იანი გამყარების შემთხვევაში გაანგარიშებული თამასუქის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი იქნება წლიური X%.[1]

▪ თამასუქის მფლობელს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია ფინანსური ორგანიზაციის ამლ და შესაბამისობის დეპარტამენტში ზეპირი, თავისუფალი წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით (ელ. ფოსტაზე - Complaint@crystal.ge).

გაეცანით თამასუქის მფლობელისთვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდსა – http://nbg.gov.ge/cp და ცხელ ხაზზე – 032 2 406 406.

თამასუქის გამცემი	**თამასუქის მფლობელი**
სს ,,მიკრობანკი კრისტალი" ს/კ 212896570	XXXXXX
_____	_____

[1] უცხოურ ვალუტაში თამასუქის გაცემის შემთხვევაში.

კონფიდენციალური

ღია თამასუქის ხელშეკრულება #XXX

1. ხელშეკრულების მხარეები:

1.1. თამასუქის გამცემი: სს ,,მიკრობანკი კრისტალი'' ს/კ 212896570, მისამართი: ქ. ქუთაისი ნიკეას ქ. #22, ელ.ფოსტა: XXX , წარმოდგენილი მინდობილი პირის XXX სახით,

1.2. თამასუქის მფლობელი: XXX, მისამართი: XXX, ტელ: XXX, ელ. ფოსტა: XXX

2. ხელშეკრულების საგანი:

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე თამასუქის მფლობელი უზრუნველყოფს თანხის, რომელიც მოცემულია ხელშეკრულების 3.6 პუნქტში, ჩარიცხვას მიკრობანკში გახსნილ ანგარიშზე (მითითებულია ხელშეკრულების 3.14.1 პუნქტში), ხოლო მიკრობანკი მოიპოვებს მასზე საკუთრების უფლებას და კისრულობს უპირობო ვალდებულებას, პირადად გადაუხადოს 3.6 პუნქტში აღნიშნული თანხა (მასზე დარიცხული სარგებელი) თამასუქის მფლობელს, წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესით და გადახდის დღეს, თამასუქის სერთიფიკატის წარდგენის საფუძველზე. იმავდროულად, თამასუქის მფლობელი მიკრობანკს ანიჭებს უფლებას თამასუქის თანხა მიკრობანკში გახსნილი ანგარიშიდან (მითითებულია ხელშეკრულების 3.14.2 პუნქტში) მიმართოს ხელშეკრულების 3.14.1 პუნქტში მითითებულ ანგარიშზე, თამასუქის მფლობელის დამატებითი თანხმობის გარეშე.

2.2. წინამდებარე თამასუქი წარმოადგენს არაგადასაპირებელ, მარტივ (სოლო) თამასუქს რომელიც არ ექვემდებარება გადაცემას მესამე პირებზე ინდოსამენტის ან/და ცესიის საშუალებით.

3. თამასუქის პირობები:

3.1. წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებისთანავე, თამასუქის მფლობელს გადაეცემა თამასუქის სერთიფიკატი. მხოლოდ აღნიშნული თამასუქის სერთიფიკატის (დედნის სახით) წარმოდგენის საფუძველზე იქნება თამასუქის მფლობელი უფლებამოსილი მიიღოს თამასუქის თანხა.

3.2. თამასუქის გაცემის ადგილი: XXX

3.3. თამასუქის გაცემის თარიღი: XXXწ.

3.4. თამასუქის ტიპი: მარტივი (სოლო) თამასუქი

3.5. თამასუქის ქვეტიპი: ღია თამასუქი

3.6. თამასუქის თანხა: X

3.7. თამასუქის ვადა: X თვე

3.8. გადახდის დღე/თარიღი (ვადის გასვლის თარიღი): XXX წ.

3.9. გადახდის ადგილი: XXX

3.10. მინიმალური მოთხოვნები თამასუქის გაცემისთვის: წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული თანხის გადახდა.

3.11. მინიმალური მოთხოვნები საპროცენტო სარგებლის მიღებისათვის: წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული თანხის გადახდა.

3.12. საპროცენტო სარგებლის გაცემის პერიოდულობა/თარიღი: XXX

3.13. თამასუქის მფლობელის მხრიდან თამასუქზე თანხის ვადამდე მოთხოვნის შესაძლებლობა: დასაშვებია ქვემოთ მოცემული წესების დაცვით:

- თამასუქის გაცემიდან მინიმუმ 1 (ერთი) თვის შემდეგ შესაძლებელია თანხის ვადამდე მოთხოვნა.

- თამასუქის გამცემს უნდა ეცნობოს წინასწარ, თანხის ვადამდე მოთხოვნამდე 10 სამუშაო დღით ადრე, წერილობითი განცხადებით მიმართვის გზით.

3.14. საბანკო ანგარიში/რეკვიზიტები, სადაც ჩარიცხული უნდა იქნეს თამასუქის მფლობელის მიერ თამასუქის თანხა/სადაც უნდა განხორციელდეს თამასუქის თანხის და პროცენტის გადახდა:

3.14.1. თამასუქის ანგარიში: XXXX

3.14.2. ანგარიში, საიდანაც გადაირიცხება თამასუქის თანხა: XXXX

3.14.3. ანგარიში, რომელზეც ჩაირიცხება თამასუქის თანხა და საპროცენტო სარგებელი: XXXX

4. სარგებლის დარიცხვის წესი:

4.1.თამასუქზე საპროცენტო სარგებლის დარიცხვა იწყება თამასუქის თანხის ჩარიცხვის დღის მომდევნო სამუშაო დღიდან და წყდება თამასუქის ვადის გასვლისთანავე.

4.2. თამასუქის წლიური საპროცენტო სარგებლის გადახდა განხორციელდება თამასუქის მფლობელის საბანკო ანგარიშზე. თამასუქის გამცემი ხელშეკრულებით შეთანხმებული თარიღის მომდევნო სამუშაო დღეს უზრუნველყოფს ხელშეკრულებაში მითითებულ ანგარიშზე შესაბამისი სარგებლის ჩარიცხვას.

4.3. თამასუქისთვის საპროცენტო სარგებლის დარიცხვა ხდება წელიწადში 365 დღეზე, ხოლო ნაკიან წელიწადში 366 დღეზე გადაანგარიშებით.

4.4. ღია თამასუქის გადახდის ვადაზე ადრე მოთხოვნის შემთხვევაში, სარგებლის დარიცხვა მოხდება შემცირებული საპროცენტო განაკვეთის მიხედვით, რომელიც დაფიქსირებულია ხელშეკრულების მნიშვნელოვან პირობებში.

5. ხელშეკრულების დამატებითი პირობები

5.1. თამასუქის თანხის გადახდა განხორციელდება თამასუქში აღნიშნულ გადახდის დღეს/თარიღში.

5.2. თუ თამასუქის თანხის/საპროცენტო სარგებლის გადახდის დღე ემთხვევა თამასუქის გამცემის არასამუშაო დღეს, აღნიშნული განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

5.3. იმ შემთხვევაში, თუ თამასუქის ქვეტიპი არის დახურული, თამასუქი არ შეიძლება გადასახდელად წარდგენილ იქნეს ხელშეკრულებაში მითითებულ ვადამდე (გამონაკლისია მხარეთა ორმხრივი წერილობითი შეთანხმება, რა დროსაც შეთანხმებითვე განისაზღვრება თამასუქის ვადამდე შეწყვეტის პირობები (მათ შორის,პირგასამტეხლო თამასუქის თანხის 0.2%-ის ოდენობით)).

5.4. იმ შემთხვევაში, თუ თამასუქის ღირებულება შეიცვლება იმგვარად, რომ შესაძესლებელია ზარალის მომტანი აღმოჩნდეს თამასუქის გამცემისათვის, ან/და საფრთხე შეუქმნას თამასუქის გამცემის ფინანსურ სტაბილურობას, ან/და განხორციელდება საკანონმდებლო ან/და სხვა სახის ცვლილება, რომელიც გაუარესებს თამასუქის გამცემის მდგომარეობას, თამასუქის გამცემი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს ცალმხრივად შეცვალოს საპროცენტო განაკვეთი ან/და პროდუქტის სხვა ნებისმიერი პირობა. აღნიშნულის შესახებ თამასუქის მფლობელის ინფორმირება განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

5.5. უცხოური ვალუტით თანხების განთავსების შემთხვევაში, მომხმარებელი გაეცნო ფინანსური ორგანიზაციის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას მსგავსი პირობების მქონე პროდუქტზე ეროვნულ ვალუტაში.

5.6. თამასუქის მფლობელი იღებს ვალდებულებას, რომ უზრუნველყოფს თამასუქის გამცემის დაუყოვნებლივ ინფორმირებას მის მონაცემებში (სახელი, გვარი/სახელწოდება, მისამართი ან/და თამასუქის გამცემთან არსებული სხვა ნებისმიერი ინფორმაცია (მათ შორის მის დამფუძნებლებთან/ბენეფიციარ მესაკუთრეებთან/დირექტორებთან/პარტნიორებთან დაკავშირებით) ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში.

5.7. მხარეები თანხმდებიან, რომ თამასუქის განაცხადში/ხელშეკრულებაში მითითებული მისამართი, მობილური ტელეფონის ნომერი და ელექტრონული ფოსტა გამოყენებულ იქნება თამასუქის გამცემის მიერ თამასუქის მფლობელთან დასაკავშირებლად ან/და ტექსტური ინფორმაციის მისაწოდებლად. იმ შემთხვევაში, თუ თამასუქის მფლობელი ცვლის საკონტაქტო ინფორმაციას, ის ვალდებულია აღნიშნული რეკვიზიტების ცვლილებიდან 3 (სამი) კალენდარული დღის ვადაში წერილობით

აცნობოს თამასუქის გამცემს, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს უკანასკნელი თავისუფლდება თამასუქის მფლობელისთვის სავალდებულოდ მისაწოდებელი ინფორმაციის შეუტყობინებლობის გამო წარმოშობილი პასუხისმგებლობისაგან.
5.8. თამასუქის მფლობელი ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიკრობანკში იქონიოს მინიმუმ ერთი აქტიური მიმდინარე ანგარიში.
5.9. წინამდებარე ხელშეკრულება იმავდროულად წარმოადგენს თამასუქის მფლობელის განაცხადს თამასუქის ანგარიშის გახსნის/სარგებლობის შესახებ.
5.10. წინამდებარე ხელშეკრულების 3.14.3 პუნქტში მითითებული ანგარიში დაიხურება თამასუქის ვადის შეწყვეტისთანავე/ვადის გასვლისთანავე, მას შემდეგ, რაც თამასუქის მფლობელი უზრუნველყოფს აღნიშნულ ანგარიშზე არსებული თანხის გატანას/გადარიცხვას სხვა ანგარიშზე.

6. პერსონალური მონაცემები და მათი კონფიდენციალურობა
6.1 თამასუქის მფლობელისათვის ცნობილია და აცხადებს თანხმობას, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფინანსური მომსახურების მიზნით მიკრობანკმა დაამუშავოს მისი პერსონალური მონაცემები, რაც მიეთითება, როგორც განაცხადში, ასევე ფიქსირდება თამასუქის მფლობელის მხრიდან მიკრობანკისთვის წარმოდგენილ დოკუმენტებსა და მომსახურების ფარგლებში საბანკო ანგარიშზე წარმოებული ტრანზაქციების ფარგლებში, კანონმდებლობის შესაბამისად და თამასუქის მფლობელის მხრიდან მოთხოვნილი მომსახურების ფარგლებში. მათ შორის, თამასუქის მფლობელისათვის ცნობილია და აცხადებს თანხმობას, რომ მომსახურების სრულყოფილად გაწევის მიზნით მიკრობანკი კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად, კლიენტის იდენტიფიცირების, ვერიფიკაციის თუ სქრინინგის მიზნებისთვის, ახორციელებს კლიენტის პერსონალური მონაცემების დამუშავებას როგორც უშუალოდ, ასევე კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილი მესამე პირების ჩართულობით.
6.2 მიკრობანკი იღებს ვალდებულებას პერსონალური მონაცემების დამუშავება განახორციელოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის ზედმიწევნით დაცვით და უზრუნველყოს კონფიდენციალურობისა და უსაფრთხოების მაღალი სტანდარტი.

7. პრეტენზი(ებ)ის განხილვის პროცედურა
7.1 თამასუქის მფლობელი უფლებამოსილია მიმართოს მიკრობანკს პრეტენზიით (ნებისმიერი ზეპირი ან წერილობითი განცხადება, რომლითაც თამასუქის მფლობელი გამოხატავს უკმაყოფილებას, დაუთანხმებლობას). პრეტენზიის ზეპირად დაფიქსირების შემთხვევაში მიკრობანკი თამასუქის მფლობელს შესთავაზებს პრეტენზიის დაფიქსირების სტანდარტულ წერილობით ან ელექტრონულ ფორმას. პრეტენზიის წერილობითი ან ელექტრონული ფორმით წარდგენისას მიკრობანკი ახდენს მისი მიღების დადასტურებას. თამასუქის მფლობელი პრეტენზიის ელექტრონული ფორმით დაფიქსირების შესაძლებლობა აქვს მიკრობანკის ელექტრონულ მისამართზე - Complaint@crystal.ge. პრეტენზიის დაფიქსირება ასევე შესაძლებელია მიკრობანკის სატელეფონო ცენტრში, ნომერზე +99532 2 022020.
7.2 თამასუქის მფლობელის პრეტენზიის განხილვის მაქსიმალური ვადაა 1 (ერთი) კალენდარული თვე. პრეტენზიას განიხილავს მიკრობანკის ამლ და შესაბამისობის დეპარტამენტი, რომელიც პასუხისმგებელია პრეტენზიების განხილვის ვადების დაცვასა და პრეტენზიების განხილვის პროცედურის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე. პრეტენზიის განხილვის შედეგები დაუყოვნებლივ ეცნობება თამასუქის მფლობელს პრეტენზიის დაფიქსირების მეთოდის იდენტური ფორმით.

8. დასკვნითი დებულებები
8.1. წინამდებარე თამასუქი შედგენილი და გაცემულია თამასუქის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.
8.2. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა გადაწყდება მხარეთა შეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა განიხილება საქართველოს საერთო სასამართლოებში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ თამასუქის თანხის მისაღებად უნდა წარმოადგინოთ წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული თამასუქის სერთიფიკატი (დედანი). თამასუქის დაკარგვისას ან განადგურებისას, უნდა მიმართოთ სასამართლოს, კანომდებლობით დადგენილი წესით, დაკარგული ან განადგურებული ფასიანი ქაღალდის ძალადაკარგულად გამოცხადებისა და მასზე უფლების აღდგენისათვის. სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების წარმოდგენამდე, ვერ შეძლებთ თამასუქის თანხის მიღებას.

8.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა თამასუქის მფლობელს.

8.5. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება შედგენილი იქნება ქართულ და უცხოურ ენაზე, ტექსტებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ქართულ ენაზე გაფორმებულ ხელშეკრულებას.

თამასუქის გამცემი	**თამასუქის მფლობელი**
სს ,,მიკრობანკი კრისტალი" ს/კ 212896570	XXXXXX
_____	_____